სატრანსფერო ფასწარმოქმნა

ბიულეტენი #2
თებერვალი 2019წ.

საქართველოში ყველაზე გავრცელებული შიდა-ჯგუფური ოპერაციები

შიდა-ჯგუფური ოპერაციები მულტინაციონალური კომპანიების წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ჩვეულებრივ, მულტინაციონალური კომპანიების უმეტესობა შიდა-ჯგუფურ ოპერაციებს რეგულარულად ახორციელებს. შესაბამისად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ კონკრეტული შიდა-ჯგუფური ოპერაცია რამდენად ხვდება საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის საკანონმდებლო რეგულაციების არეალში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შიდა-ჯგუფური ოპერაციის სატრანსფერო ფასწარმოქმნა რეგულაციის ქვეშ ექცევა, თუკი ის განხორციელებულია დამოკიდებულ მხარეებს შორის, ან თუ ოპერაციის ერთ-ერთი მხარე შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციის რეზიდენტია. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მხარეები არიან დამოკიდებულები იმ შემთხვევაში, თუ:

ერთი მხარე პრაქტიკულად ახორციელებს კომპანიის სამეწარმეო გადაწყვეტილებების კონტროლს ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კომპანიის 50 პროცენტზე მეტს;

ან თუ ერთი და იგივე პირები პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ ორი პირის მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში.

რაც შეეხება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე იურისდიქციას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ის განმარტებულია, როგორც ტერიტორია, სადაც იურიდიული პირი სრულად გათავისუფლებულია მოგების გადასახადიდან ან მოგების გადასახადი არ აღემატება 5%-ს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შიდა-ჯგუფური ოპერაცია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტ საწარმოსთან ექვემდებარება საგადასახადო შემოწმებას, მიუხედავად იმისა ოპერაციის მხარეები წარმოადგენენ თუ არა დამოკიდებულ მხარეებს.

პრაქტიკაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ისეთი შიდა-ჯგუფური ოპერაციები, როგორებიცაა, მაგალითად, მმართველობითი და ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა ან მიღება, საქონლის ყიდვა/გაყიდვა, საქონლის წარმოება, შიდა-ჯგუფური დაფინანსება, ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზია (მაგალითად, სავაჭრო მარკის როიალტი, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია და სხვა), თანამშრომელთა ექსპატრიაცია, ჯგუფის კორპორაციული ხარჯების განაწილება და სხვა. წინამდებარე, სტატიაში განვიხილავთ PwC საქართველოს პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულ სამ შიდა-ჯგუფურ ოპერაციას.



pwc

გვერდი 2

მმართველობითი და ადმინისტრაციული მომსახურება

დანახარჯების მინიმიზაციისა და ზოგადად ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მულტინაციონალური ჯგუფი ცდილობს გარკვეული მმართველობითი და ადმინისტრაციული ფუნქციები ჯგუფის წევრი კომპანიებისათვის ცენტრალიზებულად მოათავსოს სათაო ოფისებში, რეგიონალურ ჰაბებსა და საერთო სერვის ცენტრებში. ჩვეულებრივ, ასეთი ადმინისტრაციული ფუნქციები სტანდარტიზებულია და მიეწოდება ჯგუფის წევრ კომპანიებს მსოფლიოს ან რეგიონის მასშტაბით.

მსგავსი სახის სტანდარტიზებული მომსახურება შესაძლოა მოიცავდეს ისეთ ფუნქციებს როგორიცაა, მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვა („HR”), ინფორმაციული სისტემები (“IT”), ფინანსები, საგადასახადო, საბუღალტრო, მარკეტინგული, იურიდიული და სხვა. ჩვეულებრივ, საქართველოში მოქმედი მულტინაციონალური კომპანია აღნიშნულ მომსახურებას იღებს იმ შემთხვევაში თუ ის ლოკალურად საერთოდ არ ასრულებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს ან იმ შემთხვევაში თუ ის ავსებს ან აუმჯობესებს კომპანიის ადგილობრივ რესურსებს.

HR მომსახურების შემთხვევაში, სერვისის მომწოდებელი უცხოური დამოკიდებული მხარე ქართული კომპანიისათვის შესაძლოა უზრუნველყოფდეს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, როგორიც არის თანამშრომელთა შერჩევა, განვითარება, ანაზღაურება, დაზღვევა და სხვა. ქართული მხარე კი შესაძლოა პასუხისმგებელი იყოს მხოლოდ ცენტრალიზებულად მიღებული გადაწყვეტილებების ადგილობრივ დონეზე დანერგვაზე/ადაპტირებაზე.

რაც შეეხება, IT მომსახურებას, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მულტინაციონალური კომპანიების მიერ სტანდარტიზებული ინფორმაციული სისტემების დანერგვა, მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. ასეთმა მიდგომამ ზოგადად დაამტკიცა თავისი ეფექტურობა დანახარჯების შემცირების კუთხით. დამატებით, ასეთ დროს ჩვეულებრივ გამარტივებულია ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის ინტეგრაცია, ბიზნეს მოდელების ჰარმონიზაცია, მოძველებული საინფორმაციო სისტემების დროულად ჩანაცვლების შესაძლებლობა და სხვა.

ზოგადად მსგავსი სახის სარგებელი მიიღება ჯგუფის მასშტაბით ცენტრალიზებული ფინანსური, საგადასახადო, საბუღალტრო, მარკეტინგული ან იურიდიული მომსახურების მიღების შემთხვევაშიც. თუმცა, ყოველდღიური ოპერაციები მეტწილად ადგილობრივად იმართება, ხოლო სტრატეგიული მნიშვნელობის მმართველობითი ფუნქციები, რომლებიც დაფუძნებულია ჯგუფში გლობალურად არსებულ მიდგომებზე, შესაძლოა იმართებოდეს სხვადასხვა რეგიონში არსებული ჯგუფის წევრი კომპანიების მიერ. მაგალითად, ერთი კომპანიის კონკრეტული თანამშრომლები შესაძლოა პასუხისმგებელნი იყვნენ ჯგუფისთვის სტანდარტიზებული რისკის ან ანაზღაურების პოლიტიკის განვითარებაზე, სხვა კომპანიის კონკრეტული გუნდი კი ჯგუფის თანამშრომელთა სწავლებისა და განვითარების საკითხებზე და სხვა.

გარდა ამისა, ქართულ პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც კომპანიები, რომელთა წარმატება მნიშვნელოვნად არის განპირობებული სპეციფიური ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომელთა არსებობით, ვერ ახერხებენ ასეთი თანამშრომლების საქართველოში მოძიებას. ამ შემთხვევაში, ადგილობრივმა საწარმოებმა შესაძლოა ჯგუფის წევრი უცხოური კომპანიებისგან მიიღონ დამხმარე ხასიათის მომსახურება თანამშრომელთა ექსპატრიაციის, ტრენინგებისა თუ სხვადასხვა კონსულტაციების მეშვეობით, ან შესაძლოა მოხდეს კონკრეტული სერვისის სრულად ქვე-კონტრაქტირება უცხოურ დამოკიდებულ მხარესთან. მსგავსი სახის ოპერაციებიც ასევე განიხილება, როგორც შიდა-ჯგუფური მომსახურება და ქართული კანონმდებლობის მიხედვით ექვემდებარება სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციებს.

იქედან გამომდინარე, რომ მსგავსი მმართველობითი თუ ადმინისტრაციული მომსახურების გაწევისთვის გადახდილი თანხის ოდენობა განსაზღვრავს საქართველოში დასაბეგრ ბაზას, ამ სახის მომსახურების შინაარსი და ფასწარმოქმნის მექანიზმი, აქტიური კვლევის საგანია როგორც საქართველოს ასევე მსოფლიო საგადასახადო ორგანოებისათვის. ის ფაქტი კი, რომ თითქმის ყველა მულტინაციონალური საწარმო იღებს აღნიშნული სახის მომსახურებებს უცხოური დამოკიდებული მხარეებისგან, დამატებით ზრდის განხილულ ოპერაციაზე საგადასახადო ორგანოების ინტერესს.



გვერდი 3

საქონლის შემენა (ნედლეული ან მზა პროდუქტი)

PwC საქართველოს პრაქტიკაში კიდევ ერთი ყველაზე ხშირად დოკუმენტირებულ შიდა-ჯგუფურ ოპერაციას წარმოადგენს დამოკიდებული საწარმოსგან საქონლის შემენა; ეს შეიძლება იყოს როგორც ნედლეული ასევე დამხმარე ნაწილები, ან ნებისმიერი მზა ან ნახევრად-მზა პროდუქტი, რაც თავის მხრივ ადგილობრივი კომპანიისთვის მეტწილად განიხილება, როგორც მარაგების შემენა. შემენილი საქონელი შეიძლება შემდგომ გამოყენებულ იქნას ადგილობრივი წარმოების ან გადაყიდვის მიზნებისთვის. გარდა ამისა, ადგილობრივმა კომპანიამ შესაძლოა ოფისისთვის ან საწარმოსთვის შეიძინოს საჭირო მოწყობილობები და ტექნიკა, რომელიც შემდგომ გამოყენებული იქნება კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში ან წარმოების პროცესში. ზოგადად, მსგავსი შიდა-ჯგუფური შესყიდვები ადგილობრივი კომპანიისთვის ჯგუფის გლობალური სტანდარტების შესაბამისი ხარისხის გარანტიას წარმოადგენს, რაც შესაძლოა მისთვის წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორიც იყოს. დამატებით, ის შესაძლოა ეფექტიანი იყოს მასშტაბის ეკონომიიდან გამომდინარე შემცირებული დანახარჯების მხრივაც.

ჩვენს პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად საქართველოში საქონლის იმპორტი ხდება მეზობელი ქვეყნებიდან, ძირითადად დისტრიბუციის და შედარებით იშვიათად ადგილობრივ წარმოებაში ჩართვის მიზნით. სატრანსპორტო საშუალებად კი ძირითადად გემები გამოიყენება; შესაბამისად, ის გავლენას ახდენს ქვეყანაში, როგორც საბაჟო ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადის მოცულობაზე, რაც დამატებით ზრდის საგადასახადო ორგანოების ინტერესს ამ ოპერაციის მიმართ.

შიდა-ჯგუფური დაფინანსება

გამომდინარე იქედან, რომ მულტინაციონალური ჯგუფის ფინანსურ ცენტრებსა თუ ჰოლდინგურ კომპანიებს შესაძლოა გააჩნდეთ საკმაოდ დიდი რაოდენობის თავისუფალი რეზერვები, კომპანიები ხშირად იყენებენ შიდა-ჯგუფურ დაფინანსებას სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნეს პროცესების ხელშეწყობის, ინვესტირების, ბიზნესის გაფართოების თუ უარყოფითი ფულადი ნაკადების დაფარვის მიზნით. მსგავსი შიდა-ჯგუფური ოპერაციები შესაძლებელია განპირობებული იყოს იმით, რომ ხშირ შემთხვევაში დაფინანსების ჯგუფის შიგნით მოძიება უფრო ადვილი, მოსახერხებელი და იაფია, ვიდრე ეს იქნებოდა ფინანსური ინსტიტუტებისაგან სესხების შემთხვევაში. შიდა-ჯგუფური დაფინანსების მოქნილობას ზრდის ის ფაქტიც, რომ კომპანიებს მისი მიღება შეუძლიათ სხვადასხვა ვალუტაში, როგორც ფიქსირებული ასევე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის პირობებში.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი მულტინაციონალური კომპანიების შიდა-ჯგუფური დაფინანსებისთვის, ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი თუ ოპერაციის სხვა პირობები შესაბამისობაში უნდა იყოს გაშლილი ხელის პრინციპთან. ჩვენს პრაქტიკაში, საგადასახადო ორგანოების ინტერესი აღნიშნული ოპერაციის მიმართ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, რაც ბოლო პერიოდში გამოიხატა კიდეც შემოსავლების სამსახურთან სასამართლო დავების გაზრდით.



შეესაბამება თუ არა თქვენი კომპანიის ოპერაციები ქართულ საკანონმდებლო რეგულაციებს?

შიდა-ჯგუფური ოპერაციების მეშვეობით სავაჭრო გარიგებების განხორციელება მულტინაციონალური კომპანიების ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს; თუმცა, ის შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოში არსებულ სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციებთან. ჩვენი გამოცდილებით, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შიდა-ჯგუფური ოპერაციების სატრანსფერო ფასწარმოქმნის შემოწმების შემთხვევები.

საგადასახადო ორგანოების მიერ სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართ გაზრდილი ინტერესის არსებობის პირობებში, იცით თუ არა რამდენად შესაბამისობაშია თქვენი კომპანიის შიდა-ჯგუფური ოპერაციები საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებთან ან რამდენად არის ის შემოსავლების სამსახურის მოთხოვნების შესაბამისად დადოკუმენტირებული?

PwC საქართველოს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიმართულებით. ის შედგება ადგილობრივი დირექტორისა და ორი მენეჯერისგან და გააჩნია საქმიანობის ფართო გამოცდილება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ჩვენი გუნდი საქართველოში არსებულ მულტინაციონალურ საწარმოებს სთავაზობს სატრანსფერო ფასწარმოქმნის სრულ საკონსულტაციო მომსახურებას და ასევე აწყობს შეხვედრებს კომპანიებთან, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან დარწმუნებულნი, ხვდება თუ არა მათი შიდა-ჯგუფური ოპერაციები ქართული სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციების არეალში.

PwC საქართველოს გუნდი მზადაა გიპასუხოთ შეკითხვებზე:

სერგი კობახიძე
დირექტორი
საგადასახადო მომსახურება
ტელ.: (+995 32) 250 80 66
Email: Sergi.kobakhidze@pwc.com

ბენ პიტერსენი
მენეჯერი
ტელ.: (+995 32) 250 80 50
Email: Ben.pietersen@pwc.com

ანასტასია ყიფიანი
მენეჯერი
ტელ.: (+995 32) 250 80 50
Email: Anastasia.kipiani@pwc.com

PwC-ში ჩვენი მიზანია საზოგადოების ნდობის ამაღლება და მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მათი დახმარება. ჩვენს ქსელში შემავალი ფირმები 158 ქვეყანაშია განთავსებული და მასში დასაქმებულია 255.000-ზე მეტი ადამიანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიან აუდიტორულ, საკონსულტაციო, საგადასახადო და იურიდიულ მომსახურებებს. მეტი ინფორმაციის მისაღებად და ასევე თქვენი მოსაზრებების გამოსახატავად გთხოვთ იხილოთ ვებ-გვერდი www.pwc.com/ge

© 2018 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.